განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

პრაქტიკოსი ექთანი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2015

1. **პროფესიის დასახელება (ქართულად):**
პრაქტიკოსი ექთანი

2. **პროფესიის დასახელება (ინგლისურად):**
Practical Nurse.

3. **პროფესიული სტანდარტის კოდი:** 090552

4. **პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:** 09101-ს

5. **პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით** – 2230

6. **პროფესიის აღწერა:**
საექთნო საქმე არის მეცნიერებაც და ხელოვნებაც. ის მოითხოვს სპეციალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფლობა-გამოყენებას. იგი ემყარება კაცობრიობის მიღწევებს ფიზიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებებში.
საექთნო საქმე ეხმარება პიროვნებებს, ოჯახებსა და ადამიანთა ჯგუფებს, განსაზღვრონ და წარმოაჩინონ საკუთარი ფიზიკური, მენტალური და სოციალური პოტენციალი; ამის შესაბამისად იმოქმედონ იმ ცვალებად გარემოში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ.
ექთანს მოეთხოვება, განავითაროს და განახორციელოს ჯანმრთელობის ხელშემწყობი და ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებები.
საექთნო საქმე ასევე გულისხმობს ავადმყოფობის ან რეაბილიტაციის პროცესში ზრუნვის დაგეგმვას და განხორციელებას ფიზიკური, მენტალური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე, ავადმყოფობაზე, უმწეობაზე, სიკვდილზე.
საექთნო საქმე ხელს უწყობს პიროვნების ან მისი ოჯახის, მეგობრების, სოციალური ჯგუფებისა და თემის აქტიურ ჩართვას ჯანდაცვის ყველა ასპექტში, რითაც ხელს უწყობს პიროვნული პასუხისმგებლობის ამაღლებისა და გადაწყვეტილების მიღების გზით ჯანმრთელი გარემოს შექმნას.

7. **სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:**
პრაქტიკოს ექთანს სამუშაოს შესრულება უწევს სხვადასხვა დაწესებულებასა და სოციალურ გარემოში. მას შესაძლოა მოუწიოს სტრესულ გარემოში მუშაობა. სამუშაო საათები, რიგ შემთხვევაში, არანორმირებულია.
პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების შესაძლებლობებია:

- ✓ **სამედიცინო დაწესებულებები:**
  - სტაციონარი;
  - ამბულატორია;
  - დიაგნოსტიკური ცენტრი;
  - პირველადი ჯანდაცვის ობიექტები;
  - რეაბილიტაციის ცენტრები;
  - ესთეტიკური ცენტრები;
  - გადაუდებელი დახმარების ცენტრები;
  - სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები.
- ✓ **სხვადასხვა ინსტიტუცია:**
  - ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი;
  - პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები);
  - პალიატიური მზრუნველობის ცენტრები;
  - საგანმანათლებლო დაწესებულებები;
  - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები;
  - კვების ობიექტები.
- ✓ **ჯანდაცვის ორგანიზაცია:**

- ჯანდაცვის სამინისტრო.

8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:
პროფესიული განათლება

9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:
მეხუთე

10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	**საექთნო პროცესის მართვა**	1.1. ახდენს პაციენტის იდენტიფიკაციას 1.2. უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს 1.3. ახდენს პაციენტის საექთნო შეფასებას კომპეტენციის ფარგლებში 1.4. ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას 1.5. გეგმავს საექთნო მოვლას 1.6. ახორციელებს საექთნო მოვლას 1.7. ახდენს საექთნო მოვლის შედეგების შეფასებას 1.8. აძლევს რეკომენდაციას პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს კომპეტენციის ფარგლებში 1.9. ახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას
2.	**კომუნიკაცია საზოგადოებასა და ჯანდაცვის გუნდთან**	2.1. ამყარებს კომუნიკაციას სამედიცინო პერსონალთან, პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან 2.2. იღებს /გასცემს საჭირო ინფორმაციას 2.3. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აწარმოებს სათანადო კომუნიკაციას
3.	**ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა**	3.1. იცავს ასეპტიკას 3.2. იცავს ანტისეპტიკას 3.3. ატარებს საიზოლაციო შემზღუდველ ღონისძიებებს
4.	**სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება**	4.1. აწარმოებს ერთჯერადი გამოყენების საგნების ხარჯთაღრიცხვას 4.2. აწარმოებს მედიკამენტების ხარჯთაღრიცხვას 4.3. აწარმოებს სისხლისა და სისხლის შემცველი კომპონენტების ხარჯთაღრიცხვას 4.4. აწარმოებს საექთნო საქმის ამსახველ სათანადო დოკუმენტაციას
5.	**პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა**	5.1. მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში 5.2. იძიებს ინფორმაციას პროფესიული განვითარებისათვის 5.3. იზიარებს პროფესიულ გამოცდილებას 5.4. ჩართულია უწყვეტი განათლების პროცესში

11. პიროვნული თვისებები:

- მზრუნველი
- ჰუმანური
- პუნქტუალური
- ემპათიური

- თავშეკავებული
- სანდო
- ალტრუისტი
- კეთილსინდისიერი

12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალები:

ხელსაწყო-იარაღები: ყველა სახის ქირურგიული: ქირურგიული დანა, მაკრატელი, მიკულიჩი მომჭერი, გოსე-მუცლის ღრუს გამაგანიერებელი, ფარაბეფი-ჭრილობის გასაფარტოებელი, კაპიო-ქალის ძვლის გასახვრეტი იარაღი, სალნიკოვი - სისხლძარღვის დამჭერი სწორი, ალესკა-შარდის ბუშტის დამჭერი. სისხლძარღვის მომჭერი (სწორი და მოხრილი), დისექტორი, კოხერები, მაკრატელი, კორცანგი, ზედა და ქვედა სარკეები, პინცეტი (ქირურგიული, ანატომიური, ფანჯრიანი), დანის პირები, შპრიცები, ნემსდამჭერი, ხერხი, ფრეზა, ჩაქუჩი, კოვზი, ტყვიის მაშა, მაშები, ვაკუუმი და ყველა სახის ქირურგიული ინსტრუმენტი.

ინვენტარი: წნევის აპარატი, გლუკომეტრი, სტეტოსკოპი, ინფუზომატი, ქალის კარდიმონიტორი, კარდიოტოკოლიტი, შტატივი, ფუნქციური საწოლი, კიუვეზი, იარაღების მაგიდა, საოპერაციო მაგიდა, ტუმბო, ახალშობილის საწოლი, ბავშვის მაგიდა, ეტლი, ჯამები, თასები, თერმომეტრი, ბურთი, შვედური კედელი, საათი, ოთახის თერმომეტრი, სასწორი, სანტიმეტრი, საქაჩი, ლინეომატი, კონტეინერი ABC კლასის ნარჩენებისათვის, ლარინგოსკოპი, რენტგენის აპარატი, კოაგულაციის აპარატი, სტერილიზაციის აპარატი (ავტოკლავი, მშრალი კარადა, ქიმიური გასტერილება), კოაგულაციის აპარატი, ამოსაქაჩი აპარატი, რენტგენის აპარატი.

მასალა: დოლბანდი, ბამბა, ბინტი, მუშამბა, საიდენტიფიკაციო სამაჯური, სპირტი, ხსნარები, საფენები, პამპერსები, სველი ხელსახოცები, ერთჯერადი პაკეტი, ახალშობილის ტანსაცმელი, ნაწოლის ლეიბი, მუთაქები, ბალიშები, ზეწრები, ერთჯერადი და მრავალჯერადი ხალათები, პერანგები, საფენები, ნიღბები, ბაქილები, ქუდები, სტერილური და არასტერილური ხელთათმანები, შარდის ბუშტის კათეტერი, შარდის მიმღები, შპრიცები, ფიზიოლოგიური ხსნარი, თორაკალური კათეტერი, საკერავი მასალა: ძაფები (ვიკრილ-რაფიდი, აბრეშუმი და ა.შ.), აქტიური მილები, ჰემოსტატიური ღრუბელი, ძვლის ცვილი, თაბაშირი, ფიბერბლასტი (თაბაშირის შემცვლელი), პლევრობაკი (პლევრის ღრუდან სითხის ამომქაჩი), სტოპკოკი (ვენის კათეტერზე დასამაგრებელი "გამანაწილებელია" ერთდროულად რამოდენიმე ნივთიერების მისაერთებლად), პერფუზიის დამაგრძელებელი, ჟანგბადის ნიღბები, ერთჯერადი ბალონი, ამოსაქაჩი ზონდი, თვალის მალამო, ლეიკოპლასტირი, ელასტიური ბინტი, შარდის მიმღები რეზერვუარი, თხევადი საპონი, პოლიეთილენის ერთჯერადი პარკები, ამომქაჩის ნაკრები.

13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

- ახალი საექთნო სტანდარტების, ტექნოლოგიების, მეთოდოლოგიების დანერგვა
- ექთნის ფუნქციების გადანაწილება კარიერული სტრუქტურის მიხედვით (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი)

14. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	**საექთნო პროცესის მართვა**	• იცის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პრინციპები • იცის ინფორმაციის სტრუქტურულად და თანმიმდევრულად გადაცემის წესი • იცის სამედიცინო ტერმინოლოგია • იცის დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ხერხები პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისაგან	• შეუძლია ეფექტიანი კომუნიკაცია • შეუძლია კომუნიკაციის დამყარება პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან • შეუძლია სამედიცინო ტერმინოლოგიის შესაბამისად გამოყენება • შეუძლია ინფორმაციის კორექტულად მოპოვება პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისაგან • შეუძლია ტრიაჟის სისტემის

		• იცის ტრიაჟის სიტემა • იცის ანამნეზის შეგროვების თანმიმდევრობა • იცის პაციენტის ფიზიოლოგიური და ფსიქოსოციალური ასპექტები • იცის პაციენტის ვიტალური ფუნქციების შეფასების წესი და ასაკობრივი თავისებურებები • იცის ფიზიკური შეფასების სტანდარტული მეთოდები შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით • იცის ვიტალური ფუნქციების მონიტორინგის წესი • იცის ვიტალური ფუნქციების მონიტორინგისათვის საჭირო რესურსები • იცის პირველადი და გადაუდებელი ღონისძიებების თანმიმდევრობა და ჩატარების წესი ვიტალური ფუნქციების მონიტორინგის შედეგების შესაბამისად • იცის დაავადების სიმპტომები და სინდრომები • იცის არსებული დაავადების წამყვანი სიმპტომები და სიმძიმე, მათი შეფასება/მართვის წესები • იცის მოდიფიცირებადი და არამოდიფიცირებადი რისკფაქტორები • იცის პრობლემების პრიორიტეტებად დიფერენცირება • იცის საკუთარი აქტივობის დალაგება/განხორციელება შესაბამისი პრობლემების სირთულის მიხედვით • იცის საექთნო პროცესის დოკუმენტურად გაფორმების წესი • იცის ექიმის მიერ მისთვის გაწერილი სამუშაო მითითების მნიშვნელობა • იცის საექთნო მოვლის სპეციფიკა დაავადებების მიხედვით	მიხედვით პაციენტის შეფასება/დახარისხება • შეუძლია ანთროპომეტრული ღონისძიებების ჩატარება • შეუძლია ვიტალური ფუნქციების შეფასება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით • შეუძლია ვიტალური ფუნქციების მონიტორინგი • შეუძლია ვიტალური ფუნქციების მონიტორინგისათვის საჭირო რესურსების გამოყენება • შეუძლია სათანადო დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია დაავადებასთან არსებული წამყვანი სიმპტომისა და სიმძიმის შეფასება- მართვა კომპეტენციის ფარგლებში • შეუძლია რისკფაქტორების იდენტიფიცირება • შეუძლია მოდიფიცირებადი და არამოდიფიცირებადი რისკფაქტორების განსაზღვრა და მართვა • შეუძლია პრობლემების პრიორიტეტებად დიფერენცირება • შეუძლია საკუთარი აქტივობის დალაგება-განხორციელება შესაბამისის პრობლემის სირთულეების მიხედვით • შეუძლია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია საექთნო მოვლის სპეციფიკის გათვალისწინება დაავადებების მიხედვით • შეუძლია პაციენტის მდგომარეობის შეფასება • საექთნო შეფასებისა და გარემო ფაქტორების გათვალისწინებით • შეუძლია გადაწყვეტილების მიღება შემდგომი ქმედებების შესახებ • შეუძლია არსებულ პირობებში საექთნო მოვლის დაგეგმარება • შეუძლია პრიორიტეტების განსაზღვრა და თანმიმდევრული დალაგება • შეუძლია ანალიზის

		• იცის პაციენტის მდგომარეობის შეფასების მეთოდი • იცის არსებულ პირობებში საექთნო მოვლის დაგეგმარება • იცის პრიორიტეტების განსაზღვრა და მნიშვნელობა • იცის, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, საექთნო მოვლის გეგმის შემუშავება • იცის საექთნო მოვლის მიზნები • იცის მიზნის მისაღწევად სიტუაციის შესაბამისი ქმედებები • იცის მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსები • იცის საექთნო მოვლის პრინციპები • იცის და იყენებს საექთნო ჩარევის კატეგორიებს გეგმის განხორციელებისას • იცის სტანდარტები საექთნო ჩარევის შესახებ • იცის მედიკამენტების გამოყენების, განზავებისა და შენახვის წესები • იცის კანონმდებლობა პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ • იცის საექთნო ჩარევაზე კლინიკური პასუხი, პაციენტის დაავადებიდან გამომდინარე • იცის საექთნო ჩარევის ტექნიკურად გამართულად განხორციელება • იცის საექთნო მოვლის ხარისხის კრიტერიუმები • იცის, პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლო გართულებები • იცის სამომავლო საექთნო გეგმის შემუშავება • იცის ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის მეთოდები და გზები • იცის დაავადებების სიმპტომები,	საფუძველზე სამოქმედო გეგმის დასახვა • შეუძლია მიზნის განსაზღვრა • შეუძლია მიზნის მისაღწევად არსებული სიტუაციებიდან შესაბამისი ქმედებების განხორციელება • შეუძლია საჭირო რესურსების გამოყენება • შეუძლია საექთნო მოვლის სრულყოფილად ჩატარება მონიტორინგისა და პრიორიტეტების თანმიმდევრობის მიხედვით • შეუძლია საექთნო ჩარევა შესაბამისი კატეგორიების მიხედვით • შეუძლია საექთნო სტანდარტებით მოქმედება • შეუძლია საექთნო ჩარევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება • შეუძლია მედიკამენტების უსაფრთხოდ გამოყენება • შეუძლია საექთნო ჩარევის განხორციელება პაციენტის უფლებების დაცვით • შეუძლია საექთნო ჩარევის ტექნიკურად გამართულად განხორციელება • შეუძლია საექთნო ჩარევისას, პაციენტის დაავადებიდან გამომდინარე, კლინიკური გამოვლინებებისას სათანადო რეაგირება • შეუძლია პაციენტის საწყისი შეფასებისა და მიღწეული შედეგების შედარება • შეუძლია საექთნო მოვლის ხარისხის კრიტერიუმების გამოყენება • შეუძლია პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გართულებების განსაზღვრა • შეუძლია სამომავლო საექთნო გეგმის შემუშავება არსებული შედეგების საფუძველზე • შეუძლია ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის რეკომენდაციების მომზადება • შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამისი,

		დიაგნოსტირების მეთოდები, საექთნო მოვლა, ფარმაკოლოგია და სხვ. • იცის პირველადი გადაუდებელი დახმარების მეთოდები არსებული ალგორითმის მიხედვით	პაციენტზე ორიენტირებული რეკომენდაციების მომზადება და მიწოდება • შეუძლია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა არსებული ალგორითმის მიხედვით • შეუძლია საგანგებო მდგომარეობებსა და კრიტიკული სიტუაციებში კოორდინირებული ქმედება
2.	**კომუნიკაცია საზოგადოებასა და ჯანდაცვის გუნდთან**	• იცის კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური მეთოდები • იცის თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესი • იცის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები • იცის ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალებები • იცის ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ბრძანებები და მითითებები • იცნობს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით დადგენილ ეთიკურ კოდექსს • იცნობს სამედიცინო ეთიკისა და საქმიანობის მარეგულირებელ მოქმედ კანონებს • იცის ქვეყანაში არსებული სხვადასხვა რელიგია და მიმდინარეობა • იცის ინფორმაციის გაცემისას ინფორმაციის მნიშვნელობის, გარემოსა და მოსაუბრის გათვალისწინების აუცილებლობა • იცის ინფორმაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობა • იცის „პრობლემური“ მომხმარებელი (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) • იცის სამუშაო პროცესში „პრობლემურ“ მომხმარებელთან (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი)	• შეუძლია კომუნიკაციის როგორც ვერბალურ და არავერბალური მეთოდების, ისე თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენება • შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით ხელმძღვანელობა პრაქტიკული საქმიანობისას • შეუძლია ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების მეთოდებით ხელმძღვანელობა • შეუძლია მოლაპარაკების წარმართვა პროფესიული თვალსაზრისით ზემდგომ/დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალთან სამუშაო პროცესში ფუნქციების გადანაწილების თაობაზე • შეუძლია ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ბრძანებებისა და მითითებების კვალიფიციურად შესრულება • შეუძლია არსებული კანონმდებლობის მიხედვით საკუთარი მოვალეობის შესრულება • შეუძლია მოსმენა • შეუძლია მუშაობის პროცესში პაციენტის მენტალური, კოგნიტური, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, ასაკობრივი და დაავადების თავისებურებების გათვალისწინება • შეუძლია ინფორმაციის გაცემის/მიღებისას არსებული

		კომუნიკაციისას ქცევის სტრატეგიის ჩამოყალიბების მეთოდი	სიტუაციის, მოსაუბრის შეფასება • შეუძლია ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა • შეუძლია „პრობლემური“ მომხმარებლის (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) განსაზღვრა • შეუძლია „პრობლემური“ მომხმარებლის (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) მდგომარეობის შეფასება • შეუძლია სამუშაო პროცესში „პრობლემურ“ მომხმარებელთან (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) კომუნიკაციისას ქცევის სტრატეგიის ჩამოყალიბება
3.	**ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა**	• იცის ხელის დეკონტამინაციის მეთოდები • იცის აღჭურვილობის დაყოფა ჯგუფები • იცის დეზინფექცია-სტერილიზაციის საჭიროება • იცის დეზინფექცია-სტერილიზაციის წესები • იცის ნოზოკომიალური ინფექციის პრევენციის პრინციპები ორგანიზმის სისტემების მიხედვით • იცის ანტისეპტიკის მეთოდები • იცის პაციენტის მომზადების თანმიმდევრობა და წესი • იცის რესურსების ჩამონათვალი • იცის პროცედურის დროს ექიმის დახმარების შესაბამისი წესები • იცის სპეციფიკური მოვლის სახეები • იცის ქვეყანაში ადაპტირებული საერთაშორისო სტანდარტებით არსებული კანონმდებლობა სანიტარიულ-ჰიგიენურ-ეპიდემიოლოგიური ნორმების შესახებ • იცის თავდაცვის სტანდარტული მეთოდები	• შეუძლია მართებულად განსაზღვროს ხელის დეკონტამინაციის მეთოდები საექთნო ჩარევის დროს • შეუძლია მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების კლასიფიკაცია (კრიტიკული, ნაკლებად კრიტიკული, არაკრიტიკული) • შეუძლია ანტისეპტიკის მეთოდების გამოყენება • შეუძლია პაციენტის მომზადება • შეუძლია საჭირო რესურსის მომზადება • შეუძლია ექიმის დახმარების დროს პრიორიტეტების განსაზღვრა • შეუძლია პაციენტის სპეციფიკური მოვლა • შეუძლია სათანადო დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით ხელმძღვანელობა • შეუძლია თავდაცვის სტანდარტების მეთოდების გამოყენება • შეუძლია ინფექციური დაავადებების მიხედვით პაციენტთა განლაგების პრინციპების დაცვა • შეუძლია სტერილიზაცია-დეზინფექციასთან

		• იცის ინფექციური დაავადებების მიხედვით პაციენტის განლაგების პრინციპები • იცის სტერილიზაცია-დეზინფექციის შესახებ მოქმედი ბრძანებები • იცის ნარჩენებისა და გამოყენებული ნივთების მართებულად გადაადგილების წესები • იცის ინფექციური დაავადებები • იცის ინფექციური დაავადებების გავრცელების ჯაჭვის მიხედვით გამოსაყენებელი შესაბამისი რესურსები • იცის პროცედურული ჩარევების დროს აღჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენების წესი • იცის სამედიცინო ნარჩენების დახარისხების პრინციპები	დაკავშირებული მოქმედი ბრძანებების მიხედვით მოქმედება • შეუძლია საიზოლაციო შემზღუდველი ღონისძიებების გატარება • შეუძლია მიმართოს სათანადო სამსახურებს დამატებითი პირობების შესაქმნელად • შეუძლია სამედიცინო ნარჩენების დახარისხება
4.	**სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება**	• იცის ერთჯერადი გამოყენების საგნების დანიშნულება და ჩამონათვალი • იცის საჭირო მარაგის რაოდენობის განსაზღვრა • იცის მედიკამენტების ხარჯთაღრიცხვის წარმოება • იცის სისხლისა და სისხლისშემცველი კომპონენტების შენახვის წესები • იცის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი • იცის საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმა • იცნობს ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით	• შეუძლია საჭირო დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია შესაბამისი ერთჯერადი გამოყენების საგნების რაოდენობის გათვლა და მიზნობრივ/რაციონალური ხარჯვა • შეუძლია ხარჯთაღრიცხვის წარმოება • შეუძლია მედიკამტების დახარისხება შესაბამის დოკუმენტაციაში • შეუძლია სისხლის და სისხლისშემცველი კომპონენტების ხარჯთაღრიცხვის წარმოება შესაბამის დოკუმენტაციაში • შეუძლია საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის მართებულად წარმოება • შეუძლია, ქვეყნაში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
5.	**ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის**	• იცის პროფესიული განვითარების აუცილებლობა	• შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და რეალიზება

		და მნიშვნელობა • იცის, როგორ შეიძლება აიმაღლოს კვალიფიკაცია • იცის ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის აუცილებლობა • იცის „პროფესიული“ ინფორმაციის მნიშვნელობა • იცის თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება • იცის, ვის მიმართოს სამუშაოსთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად • იცის, ვის მიმართოს პრობლემის შესაბამისი რეკომენდაციის მისაღებად • იცის არსებული შრომითი ბაზარი • იცის სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული გადამზადების არსებული მოდულები • იცის პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანების მნიშვნელობა	• შეუძლია მიღებული ინფორმაციის გაზიარება • შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით დამოუკიდებლად პროფესიის შესაბამისი ლიტერატურის მოძიება • შეუძლია რეკომენდაციის საჭიროების განსაზღვრა • აქვს მართებული რეკომენდაციის მიღების უნარი • შეუძლია არსებულ შრომით ბაზარზე პროფესიული განათლებისა და რეალიზაციის შესაძლებლობების შეფასება • შეუძლია პროფესიული რეალიზაციის გზების გამონახვა შრომით ბაზარზე • შეუძლია პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანების მიზნის განსაზღვრა • შეუძლია პროფესიული ორგანიზაციების მოძიება და გაწევრიანება

15. სტანდარტის მოქმედების ვადა:

3 წელი

16. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1.	ნათია ნოღაიდელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
2.	მარინა სახვაძე	თბილისის ონკოლოგიურ დაავადებათა ცენტრი, მთავარი ექთანი
3.	ნინო ავალიშვილი	ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, მთავარი ექთანი
4.	თინათინ კოშაძე	„მედიქლაბჯორჯია“, მთავარი ექთანი
5.	ტატიანა დავიდოვა	„ავერსის კლინიკა“, მთავარი ექთანი
6.	ტატიანა ანიკეევა	მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, მთავარი ექთანი
7.	ნინო წიკლაური	სსიპ – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი, ექთანი
8.	ხათუნა დოლიძე	„ავერსის კლინიკა“, ოჯახის ექიმის ექთანი

9.	**თამარ ბარბაქაძე**	„ამტელ ჰოსპიტალ“ პირველი კლინიკური, ექთანი
10.	**მარინე დიდებაშვილი**	შპს „ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა“, მთავარი ექთანი
11.	**მარიანა გორდაძე**	საქველმოქმედო ფონდი ა(ა)იპ – სოციალური პარტნიორობა, შინ მოვლის ექთანი
12.	**ია გელენიძე**	აკად. ნ. ყიფშიძის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, ს.ს.დ.დ.კ.რ. დეპარტამენტი მთავარი ექთანი
13.	**ელენე კურატაშვილი**	აკად. გ. ჩაფიძის კარდიორევმატული ცენტრი, ექთანი
14.	**თამთა პატიეშვილი**	სს „უნივერსალური კლინიკა“, ექთანი
15.	**მარიამ ბურდული**	რეფერალური დახმარების ცენტრი, სს „უნივერსალური კლინიკა“, მთავარი ექთანი.
16.	**თამარ გიორგაძე**	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი
17.	**ნინო ბალანჩივაძე**	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი

შეფასების სტანდარტი

პროფესიის დასახელება: პრაქტიკოსი ექთანი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლებისა და/ან არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი ეფუძნება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. ის განსაზღვრავს სტანდარტში ასახული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და დადასტურების აუცილებელ პირობებს:
1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების ტერმინებში; 2. კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებშიც ასახულია აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები;
3. კომპეტენციების დადასტურებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს შეფასების პროცესის განხორციელების მიდგომებს.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მესამე ნაწილში (ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები) აღწერილი პროცედურები. შედეგები აისახება თანდართულ ფორმებში, რომლებიც დანართის სახით ახლავს დოკუმენტს.

ნაწილი 2. შეფასების კრიტერიუმები

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
პროფესიული მოვალეობა 1: საექთნო პროცესის მართვა	
1.1. ახდენს პაციენტის იდენტიფიცირებას	1.1.1.იმიტირებულ გარემოში ეცნობა პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს
	1.1.2.დავალების შესაბამისად ადასტურებს სამედიცინო დოკუმენტაციისა და პაციენტის ვინაობის იდენტურობას
	1.1.3.იმიტირებულ გარემოში იღებს საჭირო ინფორმაციას პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისაგან
	1.1.4.დავალების შესაბამისად აგროვებს/აზუსტებს დამატებით ინფორმაციას
1.2. უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს	1.2.1.იმიტირებულ გარემოში ანიჭებს პაციენტს ტრიაჟს კატეგორიას სიმძიმის მიხედვით.
	1.2.2.იმიტირებულ გარემოში აწესრიგებს პაციენტთა ნაკადს ტრიაჟის კატეგორიის შესაბამისად
1.3. ახდენს პაციენტის საექთნო შეფასებას კომპეტენციის ფარლებში	1.3.1. დადგენილი რიგითობის დაცვით აყალიბებს პაციენტის სუბიექტურ/ობიექტური მონაცემების შეგროვების შესაბამის წესებს
	1.3.2. დავალების შესაბამისად აგროვებს პაციენტის სუბიექტურ/ობიექტურ მონაცემებს შესაბამისი წესების და თანმიმდევრობის დაცვით
	1.3.3. გამოყოფს პრიორიტეტებს პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე
	1.3.4. დავალების შესაბამისად ახორციელებს პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგს
	1.3.5. აღწერს პაციენტის ანთროპომეტრული/ვიტალური ფუნქციების მონაცემების შეგროვების ტექნიკას, საჭირო რესურსს და დოკუმენტირების წესს
	1.3.6. დავალების შესაბამისად აწარმოებს ვიტალური ფუნქციების მუდმივ მონიტორინგს პაციენტის ასაკის, მდებარეობის და დაავადებების გათვალისწინებით
	1.3.7. დავალების შესაბამისად, იყენებს საჭირო რესურსებს ვიტალური ფუნქციების მონიტორინგისათვის
	1.3.8. ავსებს სათანადო დოკუმენტაციას
1.4. ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას	1.4.1. განსაზღვრავს არსებულ/ მოსალოდნელ პრობლემებს
	1.4.2. განსაზღვრავს შესაძლო პრობლემების გამომწვევ/ ხელშემწყობ ფაქტორებს
	1.4.3. ალაგებს პრობლემებს პრიორიტეტების მიხედვით

	1.4.4. ახდენს საექთნო შეფასების შედეგების ფორმულირება/დოკუმენტირებას
1.5. გეგმავს საექთნო მოვლას	1.5.1. ეცნობა ექიმის მიერ მისთვის გაწერილ სამუშაო მითითებებს
	1.5.2. განსაზღვრავს ექიმის დანიშნულების სწორი და სწრაფი შესრულების გზებს
	1.5.3. ადგენს საექთნო მოვლის ეტაპებს/მიზნებს და აუცილებელ რესურსს
	1.5.4. გამოყოფს პრიორიტეტებს მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე
	1.5.5. ალაგებს შესასრულებელ საქმიანობას პრიორიტეტებს მიხედვით
	1.5.6. პრიორიტეტების საფუძველზე გეგმავს საექთნო მოვლას
	1.5.7. ადგენს საექთნო მოვლის გეგმას მიზნის მისაღწევად: საექთნო შეფასების, გარემო ფაქტორების, მოსალოდნელი შედეგების და ექიმის მითითების გათვალისწინებით, კომპეტენციის ფარგლებში
1.6. ახორციელებს საექთნო მოვლას	1.6.1. იმიტირებულ გარემოში მოქმედებს მხოლოდ ექიმის მიერ დოკუმენტურად დადასტურებული დანიშნულებით
	1.6.2. ახორციელებს საექთნო მოვლას მონიტორინგის საფუძველზე
	1.6.3. ახორციელებს საექთნო მოვლას პრიორიტეტების თანმიმდევრობის დაცვით
	1.6.4. სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით ხელმძღვანელობს და იყენებს საექთნო ჩარევების კატეგორიებს (დამოუკიდებელი, დამოკიდებული და ურთიერთდამოკიდებული)
	1.6.5. სამოქმედო გეგმის განხორციელებისას საექთნო ჩარევას ახდენს საექთნო სტანდარტების მიხედვით
	1.6.6. აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ
	1.6.7. იცავს სამკურნალო წამლების შენახვისა და გამოყენების წესებს
	1.6.8. ატყობინებს სათანადო პირს დაბრკოლების, ცდომილებისა და ნებისმიერი გართულების შესახებ
	1.6.9. იცავს ნებისმიერი სამკურნალო დიაგნოსტიკური კვლევის და მანიპულაციის დროს პაციენტის პრივატულობასა და კომფორტს
1.7. ახდენს საექთნო მოვლის შედეგების შეფასებას	1.7.1. აფასებს პაციენტის რეაგირებას საექთნო ჩარევაზე
	1.7.2. აფასებს საექთნო მოვლის მიზნის მიღწევის ხარისხს
	1.7.3. აფასებს საექთნო მოვლის გავლენის ხარისხსს პაციენტის მდგომარეობაზე

	1.7.4. უზრუნველყოფს პაციენტის მდგომარეობაში შესაძლო ახალი პრობლემების დროულ აღმოჩენას, შეფასებასა და რეაგირებას
1.8. აძლევს რეკომენდაციას პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს კომპეტენციის ფარგლებში	1.8.1. აწარმოებს ეფექტურ პროფესიულკომუნიკაციას შესაბამისი რეკომენდაციების და სამედიცნო ტერმინოლოგიის გამოყენებით 1.8.2. აღწერს პაციენტის/მისი ოჯახის წევრებისთვის/მეურვისთვის რეკომენდაციის მიწოდების გზებს 1.8.3. ადგენს კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამის პაციენტზე ფოკუსირებულ რეკომენდაციებს
1.9. ახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას	1.9.1. აფასებს პაციენტის ზოგად მდგომარეობას
	1.9.2. უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების მობილიზებას
	1.9.3. უზრუნველყოფს გადაუდებელი დახმარების სწორ ორგანიზებას
	1.9.4. ახორციელებს არსებულ სიტუაციაში დახმარებას
	1.9.5. უზრუნველყოფს გუნდის კოორდინირებულ მოქმედებას
პროფესიული მოვალეობა 2: კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან	
2.1. ამყარებს კომუნიკაციას სამედიცინო პერსონალთან, პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან	2.1.1. იყენებს ვერბალურ და არავერბალურ მეთოდებს კომუნიკაციის დამყარების მიზნით
	2.1.2. იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ საშუალებებს
	2.1.3. იყენებს ინტერპერსონალურ კომუნიკაციას სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან
	2.1.4. აწარმოებს მოლაპარაკებას პროფესიული თვალსაზრისით ზემდგომ/დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალთან სამუშაო პროცესში ფუნქციების გადანაწილების თაობაზე
	2.1.5. ჩამოთვლის თანამედროვე სამედიცინო ეთიკის პრინციპებისა და საქმიანობის მარეგულირებელ მოქმედ კანონმდებლობას
2.2. იღებს/გასცემს სჭირო ინფორმაციას	2.2.1. სწორად განსაზღვრავს არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემის თავისებურებებს
	2.2.2. ზუსტად აღწერს დაბრკოლების, ცდომილებისა და ნებისმიერი გართულების შესახებ სათანადო პირისთვის ინფორმაციის მიწოდების თვის საჭირო განხორციელების გზებს
2.3. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე აწარმოებს სათანადო კომუნიკაციას	2.3.1. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ირჩევს ინტერდისციპლინური კომუნიკაციის საშუალებებს
	2.3.2. არსებული სიტუაციიდან და დოკუმენტაციიდან გამომდინარე, განსაზღვრავს პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გართულეაბს
	2.3.3. განსაზღვრავს ქცევის სტრატეგიას პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გართულების დროს

პროფესიული მოვალეობა 3: ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა	
3.1. იცავს ასეპტიკას	3.1.1. იცავს პირად ჰიგიენას პროტოკოლებისა და შინაგანაწესის მიხედვით
	3.1.2. უზრუნველყოფს დეზინფექცია-სტერილიზაციას
	3.1.3. იცავს ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის პრინციპებს
3.2. იცავს ანტისეპტიკას	3.2.1. იყენებს ანტისეპტიკის მეთოდებს
	3.2.2. აფასებს შესაბამისი მეთოდებით ჩარევის საჭიროებებს
	3.2.3. აწარმოებს სათანადო დოკუმენტაციას
3.3. ატარებს საიზოლაციო შემზღუდველ ღონისძიებებს	3.3.1. იღებს თავდაცვის სტანდარტულ ზომებს
	3.3.2. უზრუნველყოფს პაციენტთა სწორ განლაგებას
	3.3.3. იცავს სტანდარტებით გათვალისწინებულ რეკოენდაციებს
	3.3.4. იცავს და აკონტროლებს პერსონალისა და პაციენტების მოძრაობას ზონების მიხედვით
	3.3.5. იცავს პაციენტის საიზოლაციო შემზღუდველ წესებს
	3.3.6. მუშაობის პროცესში იცავს უსაფრთხოების წესებს
	3.3.7. იყენებს ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებს
	3.3.8. ახარისხებს სამედიცინო ნარჩენებს კატეგორიების მიხედვით
პროფესიული მოვალეობა 4: სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება	
4.1. აწარმოებს ერთჯერადი მოხმარების საგნების ხარჯთაღრიცხვას	4.1.1. აღრიცხავს არსებულ, ათვისებულ და დარჩენილ ერთჯერადი მოხმარების საგნებს
	4.1.2. განსაზღვრავს ერთჯერადი მოხმარების საგნების საჭირო მარაგის რაოდენობას
4.2. აწარმოებს მედიკამენტების ხარჯთაღრიცხვას	4.2.1. აღრიცხავს არსებულ, მიღებულ, ათვისებულ და დარჩენილ მედიკამენტებს შესაბამის დოკუმენტაციაში
	4.2.2. აფიქსირებს ხელმოწერას სათანადო დოკუმენტში ნარკოტიკული და სპეცკონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების გამოყენების შემთხვევაში
4.3. აწარმოებს სისხლის და სისხლისშემცველი კომპონენტების ხარჯთაღრიცხვას	4.3.1. აღრიცხავს არსებულ/ათვისებულ და დარჩენილ სისხლის და სისხლისშემცველ კომპონენტებს სათანადო დოკუმენტაციაში
4.4. აწარმოებს საექთო საქმის ამსახველ სათანადო დოკუმენტაციას	4.4.1. დადგენილი წესის დაცვით აწარმოებს დოკუმენტაციას საექთნო საქმის თითოეული ეტაპის შესახებ
	4.4.2. შესრულებულ სამუშაოს ადასტურებს ხელის მოწერით
პროფესიული მოვალეობა 5: ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე	

5.1. მონაწილეობს პროფესიულ ტრეინინგებში,სემინარებსა და კონფერენციებში	5.1.1. მოიძიებს ინფორმაციას პროფესიული ტრეინინგების, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარების შესახებ, როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო ასპარეზზე
	5.1.2. ამზადებს თემატურ მასალას = პროფესიულ ტრეინინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად (ჩატარების შემთხვევაში
5.2. იძიებს ინფორმაციას პროფესიული განვითარებისათვის	5.2.1. აღწერს პროფესიული თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდის მნიშვნელობას
	5.2.2. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მოიძიებს სფეროში არსებულ სიახლეებსა და პროფესიული განვითარებისათვის შესაბამის ლიტერატურას
5.3. ეცნობა პროფესიულ გამოცდილებას	5.3.1. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მოიძიებს საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებებს
	5.3.2. მიმართავს კოლეგებს არსებული პრობლემების შესახებ რეკომენდაციისათვის
	5.3.3. იზიარებს კოლეგების პროფესიულ გამოცდილებას
5.4. ჩართულია უწყვეტი განათლების პროცესში	5.4.1. მკაფიოდ აღწერს საკუთარ შესაძლებლობებს და ძლიერ მხარეებს კონკრეტულ სამუშაო მოთხოვნებთან მიმართებაში
	5.4.2. აყალიბებს პროფესიული ზრდისკენ მიმართულ კონკრეტულ მიზნებს და თვითგანვითარების გეგმას
5.5. ეცნობა პროფესიული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას	5.5.1. მოიძიებს პროფესიულ ორგანიზაციების არსებობას ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე
	5.5.2. პროფესიულ ორგანიზაციების არსებობის შემთხვევაში მოიძებს მათში გაწევრიანების შესაბამის მოთხოვნებს

ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები

1. გამოკითხვა

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	**შეფასების პროცესი**
შესაფასებელი პირი ეცნობა გამოკითხვის პროცედურას, პასუხს სცემს შეკითხვებს შეფასებისათვის დადგენილი დროითი რეგლამენტის დაცვით	1. შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის ან/და ზეპირი შეკითხვების სახით. 2. ტესტი შესაძლოა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს. 3. გამოკითხვისათვის მაქსიმალური დროა 3 საათი. 4. შესაძლოა, შემფასებელმა მოითხოვოს შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული პასუხის არგუმენტირება, რისთვისაც შეფასების დროის ზემოთ დამატებით გამოიყოფა არაუმეტეს 15 წუთისა. 5. გამოკითხვა ტარდება ნებისმიერ აუდიტორიაში, ან ოთახში,

	რომელიც აღჭურვილია გამოსაკითხი პირების ინდივიდუალური მუშაობის უზრუნველსაყოფად. 6. არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება 7. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით და/ან შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. დანართი 1).

2. პროცესზე დაკვირვება

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	**შეფასების პროცესი**
შესაფასებელი პირი ასრულებს შემფასებლის მიერ მიცემულ დავალებებს, რაც შეფასების სტანდარტით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უნარების დადასტურების საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად ირჩევს საჭირო ინსტრუმენტებს, მოწყობილობებს, მასალებს	1. შეფასება უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში. 2. შეფასება მოიცავს ოთხ ტიპის დავალებას: ა) პაციენტის/პრობლემის იდენტიფიკაცია და საექთნო მოვლის დაგეგმვა (1 სთ) ბ) საექთნო მოვლის განხორციელება (1,5 სთ) გ) ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა (0,5 სთ) დ) კომუნიკაცია საზოგადოებასა და ჯანდაცვის გუნდთან (0,5 სთ) 3. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში, შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების არგუმენტირებას. 4. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. დანართი 1).

3. პროდუქტის/შედეგის შეფასება

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	**შეფასების პროცესი**
შესაფასებელ პირს შემფასებლის მიერ ეძლევა დავალებები, რაც უნდა შეასრულოს დამოუკიდებლად და წარმოადგინოს შექმნილი მტკიცებულებები სტანდარტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადასტურებისათვის	1. შეფასება უნდა განხორციელდეს ნებისმიერ გარემოში, სადაც შესაფასებელ პირს ექნება დავალების შესრულების შესაძლებლობა. საჭიროა საკომუნიკაციო საშუალებების არსებობა, მათ შორის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი თითოეული შესაფასებელი პირისათვის. 2. პროცესი უზრუნველყოფილ უნდა იქნას სამუშაო ფორმების ბლანკებითა და საკანცელარიო ნივთებით. 3. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში, შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების არგუმენტირებას. 4. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებელი

	პირის მიერ დავალების შესრულების პროცესში შექმნილი პროდუქტით და შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. დანართი 1).

ნაწილი 4. მითითებები შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპებს
- შეფასების კრიტერიუმებს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- შეფასების ორგანიზების თავისებურებებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებელისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თოთოეული შესრულების კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

1. გამოკითხვა

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		**შეფასება**	
		დადასტურდა	**არ დადასტურდა**
1.3.1.	დადგენილი რიგითობის დაცვით აყალიბებს პაციენტის სუბიექტურ/ობიექტური მონაცემების შეგროვების შესაბამის წესებს		
1.3.3.	გამოყოფს პრიორიტეტებს პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე		
1.3.5.	აღწერს პაციენტის ანთროპომეტრული/ვიტალური ფუნქციების მონაცემების შეგროვების ტექნიკას, საჭირო რესურსს და დოკუმენტირების წესს		
1.4.1.	განსაზღვრავს არსებულ/ მოსალოდნელ პრობლემებს		
1.4.2.	განსაზღვრავს შესაძლო პრობლემების გამომწვევ/ ხელშემწყობ ფაქტორებს		
1.4.3.	ალაგებს პრობლემებს პრიორიტეტების მიხედვით		
1.5.2.	განსაზღვრავს ექიმის დანიშნულების სწორი და სწრაფი შესრულების გზებს		
1.5.3.	ადგენს საექთნო მოვლის ეტაპებს/მიზნებს და აუცილებელ რესურსს		
1.6.6.	აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ		
1.8.2.	აღწერს პაციენტის/მისი ოჯახის წევრებისთვის/მეურვისთვის რეკომენდაციის მიწოდების გზებს		

2.2.1.	სწორად განსაზღვრავს არსებულ სიტუაციაში ინფორმაციის მოპოვება/გაცემის თავისებურებებს		
2.2.2.	ზუსტად აღწერს დაბრკოლების, ცდომილებისა და ნებისმიერი გართულების შესახებ სათანადო პირისთვის ინფორმაციის მიწოდებისსაჭირო ს გზებს		
2.3.2.	განსაზღვრავს პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გართულებებს არსებული სიტუაციიდან და დოკუმენტაციიდან გამომდინარე		
2.3.3.	განსაზღვრავს ქცევის სტრატეგიას პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გართულების დროს		

შედეგი: დადასტურდა ------/ არ დადასტურდა ----------

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

2. პროცესზე დაკვირვება

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		**შეფასება**	
		დადასტურდა	**არ დადასტურდა**
1.1.1.	იმიტირებულ გარემოში ეცნობა პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს		
1.1.2.	დავალების შესაბამისად, ადასტურებს სამედიცინო დოკუმენტაციისა და პაციენტის ვინაობის იდენტურობას		
1.1.3.	იმიტირებულ გარემოში იღებს საჭირო ინფორმაციას პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისაგან		
1.1.4.	დავალების შესაბამისად აგროვებს/აზუსტებს დამატებით ინფორმაციას		
1.2.1.	იმიტირებულ გარემოში ანიჭებს პაციენტს ტრიაჟს კატეგორიას სიმძიმის მიხედვით		

1.2.2.	იმიტირებულ გარემოში აწესრიგებს პაციენტთა ნაკადს ტრიაჟის კატეგორიის შესაბამისად		
1.3.2.	დავალების შესაბამისად, აგროვებს პაციენტის სუბიექტურ/ობიექტურ მონაცემებს შესაბამისი წესებისა და თანმიმდევრობის დაცვით		
1.3.4.	დავალების შესაბამისად, ახორციელებს პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგს		
1.3.6.	დავალების შესაბამისად, აწარმოებს ვიტალური ფუნქციების მუდმივ მონიტორინგს პაციენტისასაკის, მდებარეობის და დაავადებების გათვალისწინებით		
1.3.7.	დავალების შესაბამისად, იყენებს საჭირო რესურსებს ვიტალური ფუნქციების მონიტორინგისათვის		
1.5.1.	ეცნობა ექიმის მიერ მისთვის გაწერილ სამუშაო მითითებებს		
1.5.4.	გამოყოფს პრიორიტეტებს მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე		
1.5.5.	ალაგებს შესასრულებელ საქმიანობას პრიორიტეტებს მიხედვით		
1.6.1.	იმიტირებულ გარემოში მოქმედებს მხოლოდ ექიმის მიერ დოკუმენტურად დადასტურებული დანიშნულებით		
1.6.2.	ახორციელებს საექთნო მოვლას მონიტორინგის საფუძველზე		
1.6.3.	ახორციელებს საექთნო მოვლას პრიორიტეტების თანმიმდევრობის დაცვით		
1.6.4.	სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით ხელმძღვანელობს და იყენებს საექთნო ჩარევების კატეგორიებს (დამოუკიდებელი, დამოკიდებული და ურთიერთდამოკიდებული)		
1.6.5.	სამოქმედო გეგმის განხორციელებისას ჩარევას ახდენს საექთნო სტანდარტების მიხედვით		
1.6.7.	იცავს სამკურნალო წამლების შენახვისა და გამოყენების წესებს		
1.6.8.	ატყობინებს სათანადო პირს დაბრკოლების, ცდომილებისა და ნებისმიერი გართულების შესახებ		
1.6.9.	იცავს პაციენტის პრივატულობასა და კომფორტსნებისმიერი სამკურნალო-დიაგნოსტიკური კვლევის და მანიპულაციის დროს		
1.7.1.	აფასებს პაციენტის რეაგირებას საექთნო ჩარევაზე		
1.7.2.	აფასებს საექთნო მოვლის მიზნის მიღწევის ხარისხს		
1.7.3.	აფასებს საექთნო მოვლის გავლენის ხარისხსს პაციენტის მდგომარეობაზე		
1.7.4.	უზრუნველყოფს პაციენტის მდგომარეობაში შესაძლო ახალი პრობლემების დროულ აღმოჩენას, შეფასებასა და რეაგირებას		
1.8.1.	აწარმოებს ეფექტურ პროფესიულ კომუნიკაციას შესაბამისი რეკომენდაციებისა და სამედიცნო ტერმინოლოგიის გამოყენებით		
1.9.1.	აფასებს პაციენტის ზოგად მდგომარეობას		

1.9.2.	უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების მობილიზებას		
1.9.3.	უზრუნველყოფს გადაუდებელი დახმარების სწორ ორგანიზებას		
1.9.4.	ახორციელებს არსებულ სიტუაციაში დახმარებას		
1.9.5.	უზრუნველყოფს გუნდის კოორდინირებულ მოქმედებას		
2.1.1.	იყენებს ვერბალურ და არავერბალურ მეთოდებს კომუნიკაციის დამყარების მიზნით		
2.1.3.	იყენებს ინტერპერსონალურ კომუნიკაციას სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან		
2.1.4.	აწარმოებს მოლაპარაკებას პროფესიული თვალსაზრისით ზემდგომ/დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალთან სამუშაო პროცესში ფუნქციების გადანაწილების თაობაზე		
2.3.1.	არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ირჩევს ინტერდისციპლინური კომუნიკაციის საშუალებებს		
3.1.1.	იცავს პირად ჰიგიენას პროტოკოლებისა და შინაგანაწესის მიხედვით		
3.1.2.	უზრუნველყოფს დეზინფექცია-სტერილიზაციას		
3.1.3.	იცავს ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის პრინციპებს		
3.2.1.	იყენებს ანტისეპტიკის მეთოდებს		
3.2.2.	აფასებს შესაბამისი მეთოდებით ჩარევის საჭიროებებს		
3.3.1.	იღებს თავდაცვის სტანდარტულ ზომებს		
3.3.2.	უზრუნველყოფს პაციენტთა სწორ განლაგებას		
3.3.3.	იცავს სტანდარტებით გათვალისწინებულ რეკომენდაციებს		
3.3.4.	იცავს და აკონტროლებს პერსონალისა და პაციენტების მოძრაობას ზონების მიხედვით		
3.3.5.	იცავს პაციენტის საიზოლაციო შემზღუდველ წესებს		
3.3.6.	მუშაობის პროცესში იცავს უსაფრთხოების წესებს		
3.3.7.	იყენებს ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებს.		
3.3.8.	ახარისხებს სამედიცინო ნარჩენებს კატეგორიების მიხედვით		

5.3.2.	მიმართავს კოლეგებს არსებული პრობლემების შესახებ რეკომენდაციისათვის		
5.3.3.	იზიარებს კოლეგების პროფესიულ გამოცდილებას		

შედეგი: დადასტურდა ------/ არ დადასტურდა ----------

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

3. პროდუქტის/შედეგის შეფასება

შესაფასებელი პირის სახლი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		**შეფასება**	
		დადასტურდა	**არ დადასტურდა**
5.1.1.	მოძიებულია ინფორმაცია პროფესიული ტრეინინგების, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარების შესახებ, როგორც ადგილობრივად, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე		
5.1.2.	მომზადებულია თემატური მასალა პროფესიულ ტრეინინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად (ჩატარების შემთხვევაში)		
5.2.1.	აღწერილია პროფესიული თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდის მნიშვნელობას		
5.2.2.	თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მოიძიებულია სფეროში არსებული სიახლეები და პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი ლიტერატურა		
5.3.1.	თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მოიძიებულია საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილებები		
5.4.1.	მკაფიოდაა აღწერილი საკუთარი შესაძლებლობები და ძლიერი მხარეები კონკრეტულ სამუშაო მოთხოვნებთან მიმართებაში		

5.4.2.	ჩამოყალიბებულია პროფესიული ზრდისკენ მიმართული კონკრეტული მიზნები და თვითგანვითარების გეგმა		
5.5.1.	მოიძიებულია ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე არსებული პროფესიული ორგანიზაციები		
5.5.2.	მოიძებულია პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანების შესაბამისი მოთხოვნები		

შედეგი: დადასტურდა ------/ არ დადასტურდა ----------

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

კომპეტენციათა დადასტურების ფორმა

პროფესიული ამოცანა	**დადატურდა**	**არ დადასტურდა**
პროფესიული მოვალეობა 1: საექთნო პროცესის მართვა		
1.1. ახდენს პაციენტის იდენტიფიკაცირებას		
1.2. უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს		
1.3. ახდენს პაციენტის საექთნო შეფასებას კომპეტენციის ფარლებში		
1.4. ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას		
1.5. გეგმავს საექთნო მოვლას		
1.6. ახორციელებს საექთნო მოვლას		
1.7. ახდენს საექთნო მოვლის შედეგების შეფასებას		
1.8. აძლევს რეკომენდაციას პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს კომპეტენციის ფარგლებში		
1.9. ახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას		
პროფესიული მოვალეობა 2: კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან		
2.1. ამყარებს კომუნიკაციას სამედიცინო პერსონალთან, პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან		
2.2. იღებს/გასცემს სჭირო ინფორმაციას		
2.3. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აწარმოებს სათანადო კომუნიკაციას		

პროფესიული ამოცანა	დადატურდა	არ დადასტურდა
პროფესიული მოვალეობა 3: ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა		
3.1. იცავს ასეპტიკას		
3.2. იცავს ანტისეპტიკას		
3.3. ატარებს საიზოლაციო შემზღუდველ ღონისძიებებს		
პროფესიული მოვალეობა 4: სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება		
4.1. აწარმოებს ერთჯერადი მოხმარების საგნების ხარჯთაღრიცხვას		
4.2. აწარმოებს მედიკამენტების ხარჯთაღრიცხვას		
4.3. აწარმოებს სისხლის და სისხლისშემცველი კომპონენტების ხარჯთაღრიცხვას		
4.4. აწარმოებს საექთო საქმის ამსახველ სათანადო დოკუმენტაციას		
პროფესიული მოვალეობა 5: ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე		
5.1. მონაწილეობს პროფესიულ ტრეინინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში.		
5.2. იძიებს ინფორმაციას პროფესიული განვითარებისათვის		
5.3. ეცნობა პროფესიულ გამოცდილებას		
5.4. ჩართულია უწყვეტი განათლების პროცესში		
5.5. ეცნობა პროფესიული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას		

დადასტურება: